საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №23
2019 წლის 29 მარტი

ქ. თბილისი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ

„სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-3 პუნქტის და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ნ“ და „ფ. ბ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს თანდართული დებულება.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის 1 აპრილიდან.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი — **გიორგი გახარია**

დანართი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის (შემდგომში – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური) მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. სააგენტო ახორციელებს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნასთან, მართვასთან, შენახვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოებას, უზრუნველყოფს სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო მომსახურების გაწევას, ახორციელებს საქართველოში ფიზიკურ/იურიდიულ პირზე პიროტექნიკური ნაწარმის იმპორტის/ექსპორტის ნებართვის, პიროტექნიკური ნაწარმის წარმოების/რეალიზაციის ლიცენზიის გაცემასა და

სანებართვო/სალიცენზიო პირობების შესრულების კონტროლს, აგრეთვე, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სპეციალურ პროფესიულ საგანმანათლებლო საქმიანობას.

3. სააგენტო საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის სამართლებრივი აქტების, ასევე ამ დებულებისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად.

4. სააგენტო დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად სარგებლობს სპეციალური უფლებაუნარიანობით, საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და უფლებამოსილია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.

5. სააგენტოს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საკუთარი ბიუჯეტი, სახაზინო ანგარიშები, ბეჭედი, ბლანკი, სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო (ემბლემა, დროშა და სხვ.) და საჯარო სამართლის იურდიული პირის სხვა რეკვიზიტები, ასევე სააგენტო უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გახსნას საბანკო ანგარიშები.

5[1]. სააგენტოს სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო მტკიცდება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით. სააგენტოს უფლება აქვს გამოიყენოს სამსახურის სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო.

6. სააგენტოს სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური. სააგენტო ანგარიშვალდებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისა და სამინისტროს წინაშე.

7. სააგენტო უფლებამოსილია გამოიყენოს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა.

7[1]. სააგენტო აწარმოებს უწყებრივ სალიცენზიო/სანებართვო რეესტრს.

8. სააგენტოს იურიდიული მისამართია: ქ. მცხეთა, ფარნავაზ მეფის ქ. №1, სააგენტოს სტრუქტურული ერთეულები ასევე შეიძლება განთავსდეს სხვა მისამართზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 16 აპრილის ბრძანება №40 - ვებგვერდი, 16.04.2020წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №143 - ვებგვერდი, 30.12.2022წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2025 წლის 1 აპრილის ბრძანება №27 - ვებგვერდი, 02.04.2025წ.

მუხლი 2. სააგენტოს ამოცანები და ფუნქციები

1. სააგენტოს ამოცანებია:

ა) საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სტრატეგიული დაგეგმვისა და ტექნოლოგიური განვითარების დეპარტამენტთან კოორდინაციით მატერიალური რეზერვების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და იმპლემენტაცია;

ბ) სახელმწიფო რეზერვების მარაგების შევსება, შენახვა და მატერიალურ ფასეულობათა ოპერაციების წარმოება;

გ) კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფო რეზერვების სისტემის მდგომარეობის კონტროლი და მისი შემდგომი განვითარების უზრუნველყოფა;

დ) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო მომსახურების გაწევა და განვითარება;

ე) სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება;

ვ) პიროტექნიკური ნაწარმის ბაზარზე განთავსების სახელმწიფო რეგულირება ლიცენზიის/ნებართვის გაცემითა და სანებართვო/სალიცენზიო პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებით.

2. სააგენტოს ფუნქციებია:

ა) ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო რეზერვის შენახვა და შევსება-განახლება, ასევე რეზერვის შესაქმნელად განკუთვნილი რესურსების შენახვა; დამტკიცებული ნომენკლატურის თანახმად, სახელმწიფო რეზერვში დასაგროვებელ მარაგებთან დაკავშირებული სახელმწიფო დავალების შესრულება;

ბ) მშვიდობიანობის დროს საქართველოს მთავრობის, ხოლო საომარი მოქმედებების დროს საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტის საფუძველზე სახელმწიფო რეზერვის მატერიალურ ფასეულობათა ოპერაციების წარმოება;

გ) სააგენტოს ქონების სათანადო საექსპლუატაციო დონეზე შენარჩუნება და ამ მიზნით მათი შეკეთების, გაფართოების, რეკონსტრუქციისა და გადაიარაღების სამუშაოების წარმოება და კონტროლი;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო რეზერვში მატერიალურ ფასეულობათა მიმწოდებლის შერჩევა და მასთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება;

ე) საპასუხისმგებლო შენახვაზე განთავსებული მატერიალური ფასეულობების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მდგომარეობის საკონტროლო შემოწმება წელიწადში ერთხელ, ხოლო ყოველი წლის პირველი ოქტომბრის მდგომარეობით ინვენტარიზაცია. ასევე, სავალდებულო მითითებების მიცემა ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით;

ვ) მარაგების ყოველწლიური კრებსითი აღრიცხვა;

ზ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან შეთანხმებით, სახელმწიფო რეზერვში დასაგროვებელ მატერიალურ ფასეულობათა ნომენკლატურის, დაგროვების ოდენობისა და პერიოდის შემუშავება და სამინისტროსთვის წარდგენა;

თ) სამობილიზაციო დავალების შემუშავება, ასევე იმ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ნუსხის განსაზღვრა, რომლებსაც ეძლევათ სამობილიზაციო დავალება და უზრუნველყოფენ სახელმწიფო რეზერვის მატერიალური ფასეულობის მარაგების საპასუხისმგებლო შენახვას და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისათვის წარდგენა;

ი) სახელმწიფო რეზერვის მარაგების შესანახი ბაზების დისლოკაციის და მათი ტერიტორიული განლაგების შესახებ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით შემუშავება და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისათვის წარდგენა;

კ) საქართველოს და სხვა ქვეყნების მეცნიერებისა და ტექნოლოგიების თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით მატერიალური მარაგების ხანგრძლივი შენახვის ოპტიმალური რეჟიმის შესწავლისა და დანერგვისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება;

ლ) სააგენტოს ბალანსზე არსებული თავისუფალი სასაწყობო სივრცის, შენობა-ნაგებობებისა და სატრანსპორტო საშუალებების იჯარით გაცემა;

მ) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო მომსახურების გაწევა და ადმინისტრირება;

$მ^1$) პიროტექნიკური ნაწარმის იმპორტის/ექსპორტის ნებართვის, პიროტექნიკური ნაწარმის წარმოების/რეალიზაციის ლიცენზიის გაცემისა და სანებართვო/სალიცენზიო პირობების შესრულების კონტროლი;

$მ^2$) პიროტექნიკურ ნაწარმთან დაკავშირებული უსაფრთხოების წესების სწავლება, სერტიფიკატისა და

შესაბამისი უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემა.

ნ) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მომსახურების გაწევისას თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფა;

ნ[1]) საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველთა მიერ სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უზრუნველყოფა, აგრეთვე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სისტემის მოსამსახურეთა მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების განხორციელება;

ო) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, კომპეტენციის ფარგლებში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სისტემის განვითარებისათვის ხელის შეწყობა.

პ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების განხორციელება.

3. სააგენტო უფლებამოსილია სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სახელმწიფო მომსახურების გასაწევად „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისაგან დროებით სარგებლობაში მიიღოს მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №143 - ვებგვერდი, 30.12.2022წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2025 წლის 1 აპრილის ბრძანება №27 - ვებგვერდი, 02.04.2025წ.

მუხლი 3. სააგენტოს სტრუქტურა

სააგენტოს სტრუქტურული ერთეულებია:

ა) სახელმწიფო მატერიალური რეზერვების განყოფილება;

ბ) ადმინისტრაციული განყოფილება;

გ) ლოჯისტიკის განყოფილება;

დ) სამოქალაქო უსაფრთხოების სამმართველო;

ე) სასწავლო ცენტრი (სამმართველო).

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №143 - ვებგვერდი, 30.12.2022წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2025 წლის 1 აპრილის ბრძანება №27 - ვებგვერდი, 02.04.2025წ.

მუხლი 4. სახელმწიფო მატერიალური რეზერვების განყოფილების ფუნქციები

სახელმწიფო მატერიალური რეზერვების განყოფილების ფუნქციებია:

ა) ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო რეზერვის შენახვა და შევსება-განახლება, რეზერვის შესაქმნელად განკუთვნილი რესურსების შენახვა; დამტკიცებული ნომენკლატურის თანახმად, სახელმწიფო რეზერვში დასაგროვებელი მარაგების სახელმწიფო დავალების შესრულება;

ბ) მშვიდობიანობის დროს საქართველოს მთავრობის, ხოლო საომარი მოქმედებების დროს საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტის საფუძველზე სახელმწიფო რეზერვის მატერიალურ ფასეულობათა ოპერაციების წარმოება;

გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო რეზერვში მატერიალურ ფასეულობათა მიმწოდებლის შერჩევა და მასთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება;

დ) საპასუხისმგებლო შენახვაზე განთავსებული მატერიალური ფასეულობების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მდგომარეობის საკონტროლო შემოწმება წელიწადში ერთხელ, ხოლო ყოველი წლის პირველი ოქტომბრის მდგომარეობით ინვენტარიზაცია. ასევე, სავალდებულო მითითებების მიცემა ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით;

ე) მარაგების ყოველწლიური კრებსითი აღრიცხვა;

ვ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან შეთანხმებით, სახელმწიფო რეზერვში დასაგროვებელ მატერიალურ ფასეულობათა ნომენკლატურის, დაგროვების ოდენობისა და პერიოდის შემუშავება და სააგენტოს უფროსისთვის წარდგენა;

ზ) სამობილიზაციო დავალების შემუშავება, ასევე იმ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ნუსხის განსაზღვრა, რომლებსაც ეძლევათ სამობილიზაციო დავალება და უზრუნველყოფენ სახელმწიფო რეზერვის მატერიალური ფასეულობის მარაგების საპასუხისმგებლო შენახვას და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისათვის წარდგენა;

თ) სახელმწიფო რეზერვის მარაგების შესანახი ბაზების დისლოკაციის და მათი ტერიტორიული განლაგების შესახებ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტის მომზადება და სააგენტოს უფროსისათვის წარდგენა;

ი) საქართველოს და სხვა ქვეყნების მეცნიერებისა და ტექნოლოგიების თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით, მარაგების ხანგრძლივი შენახვის ოპტიმალური რეჟიმის შესწავლისა და დანერგვისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება;

კ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

მუხლი 5. ადმინისტრაციული განყოფილების ფუნქციები

ადმინისტრაციული განყოფილების ფუნქციებია:

ა) სააგენტოს მოსამსახურეთა თანამდებობაზე დანიშვნის, გათავისუფლების, გადაყვანის, მოსამსახურეთა წახალისების შესახებ მასალების განხილვა და სააგენტოს უფროსისათვის წარდგენა, სააგენტოში მუშაობის დამადასტურებელი ცნობის გაცემა;

ბ) სააგენტოს სისტემის სტრუქტურული სრულყოფის, საშტატო ერთეულების რაოდენობის ოპტიმიზაციისა და მათი რაციონალურად გამოყენების შესახებ წინადადებების მომზადება;

გ) მოსამსახურეთა განვითარებაზე ზრუნვა – სასწავლო საჭიროებების მუდმივად განსაზღვრა და ამ საჭიროებების შესახებ სააგენტოს უფროსისათვის წინადადებების წარდგენა;

დ) სააგენტოში საქმისწარმოების განხორციელება, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა, შემოსული კორესპონდენციების აღრიცხვა, დამუშავება და განაწილება, საქმისწარმოების და დასრულებული საქმეების დოკუმენტაციის აღრიცხვა, დამუშავება და სათანადო წესით შენახვა (დაარქივება);

ე) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემა;

ვ) სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებული სამართალშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელება, სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტების პროექტების მომზადება და სააგენტოს უფროსისათვის წარდგენა;

ზ) სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით ადმინისტრაციული საჩივრების განხილვა;

თ) სამინისტროს სისტემის საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკის ფარგლებში, სააგენტოს საქმიანობით დაინტერესებულ უცხო ქვეყნის სახელმწიფო დაწესებულებებთან, ასევე საერთაშორისო

ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

ი) საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შესაბამის დანაყოფებთან კოორდინაციით საერთაშორისო ვიზიტებისა და სხვა საპროტოკოლო ღონისძიებების დაგეგმვა, აგრეთვე საზოგადოების ინფორმირების მიზნით საკომუნიკაციო და მარკეტინგული კამპანიების განხორციელება;

კ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2025 წლის 1 აპრილის ბრძანება №27 - ვებგვერდი, 02.04.2025წ.

მუხლი 5[1]. ლოჯისტიკის განყოფილების ფუნქციები

ლოჯისტიკის განყოფილების ფუნქციებია:

ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოება, ბალანსის შედგენა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისათვის დასამტკიცებლად წარდგენა;

ბ) სააგენტოს ბიუჯეტის პროექტის შემუშავება;

გ) სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

დ) სააგენტოს ბალანსზე რიცხული ქონების მოვლა-პატრონობა, სააგენტოს ქონების სათანადო საექსპლუატაციო დონეზე შენარჩუნება და ამ მიზნით მათი შეკეთების, გაფართოების, რეკონსტრუქციისა და გადაიარაღების სამუშაოების წარმოება და კონტროლი;

ე) სააგენტოს ბალანსზე არსებული თავისუფალი სასაწყობო სივრცის, შენობა-ნაგებობებისა და სატრანსპორტო საშუალებების იჯარით გაცემა;

ვ) სააგენტოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2025 წლის 1 აპრილის ბრძანება №27 - ვებგვერდი, 02.04.2025წ.

მუხლი 6. სამოქალაქო უსაფრთხოების სამმართველოს ფუნქციები

სამოქალაქო უსაფრთხოების სამმართველოს ფუნქციებია:

ა) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო მომსახურების გაწევა და ადმინისტრირება;

ბ) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მომსახურებების სრულყოფასა და ეფექტიანობის გაზრდაზე ორიენტირებული იდეების ინიციირება და განხორციელების ხელშეწყობა;

გ) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მომსახურების გაწევისას თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფა;

დ) მომხმარებლისთვის სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში მრავალფეროვანი მომსახურებების და ინოვაციური სერვისების შეთავაზება;

ე) პიროტექნიკური ნაწარმის იმპორტის/ექსპორტის ნებართვის, პიროტექნიკური ნაწარმის წარმოების/რეალიზაციის ლიცენზიის გაცემის მიზნით შესაბამისი საქმისწარმოება;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით, სანებართვო/სალიცენზიო პირობების შესრულების კონტროლი, ხოლო სანებართვო/სალიცენზიო პირობების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ადმინისტრაციული

სამართალდარღვევის საქმის წარმოება;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2025 წლის 1 აპრილის ბრძანება №27 - ვებგვერდი, 02.04.2025წ.

მუხლი 6[1]. სასწავლო ცენტრის (სამმართველო) ფუნქციები

სასწავლო ცენტრის (სამმართველო) ფუნქციებია:

ა) კომპეტენციის ფარგლებში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე- მაშველთა პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრა;

ბ) შესაბამისი სასწავლო პროგრამის/კურსის შემუშავება და სააგენტოს უფროსისთვის წარდგენა;

გ) საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტთან კოორდინაციით, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველთა პერიოდული გადამზადების გეგმის შემუშავება;

დ) საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველთა მიერ სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უზრუნველყოფა, აგრეთვე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სისტემის მოსამსახურეთა მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების განხორციელება;

ე) სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

ვ) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო მომსახურების გაწევის მიზნით დაინტერესებული პირის მიმართვის საფუძველზე სხვადასხვა სახის სასწავლო კურსის განხორციელება;

ვ[1]) პიროტექნიკურ ნაწარმთან დაკავშირებული უსაფრთხოების წესების სწავლება, სერტიფიკატისა და შესაბამისი უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემა;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №143 - ვებგვერდი, 30.12.2022წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2025 წლის 1 აპრილის ბრძანება №27 - ვებგვერდი, 02.04.2025წ.

მუხლი 7. სააგენტოს ხელმძღვანელობა

1. სააგენტოს ხელმძღვანელობს სააგენტოს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრთან შეთანხმებით.

2. სააგენტოს უფროსი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ერთპიროვნულად უძღვება საქმეს და პერსონალურად აგებს პასუხს სააგენტოს საქმიანობის სწორად წარმართვაზე.

3. სააგენტოს უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმოადგენს სააგენტოს, წყვეტს სააგენტოს გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებს, წარმართავს სააგენტოს საქმიანობას და პასუხისმგებელია სააგენტოზე დაკისრებული მოვალეობების ჯეროვანი შესრულებისათვის;

ბ) პასუხისმგებელია საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ გამოყენებასა და მატერიალური ფასეულობების განკარგვაზე;

გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს მოსამსახურეებს, დებს შრომით ხელშეკრულებებს;

$გ^{1}$) სააგენტოს მოსამსახურეს ანიჭებს სახელმწიფო სპეციალურ წოდებას, გარდა უფროსი და უმაღლესი სპეციალური წოდებებისა;

$გ^{2}$) სააგენტოს მოსამსახურეს წარადგენს სამსახურის უფროსის წინაშე მისთვის უფროსი სპეციალური წოდების მისანიჭებლად;

დ) კომპეტენციის ფარგლებში, იღებს გადაწყვეტილებას სააგენტოს მოსამსახურეთათვის ზოგიერთი უფლებამოსილების მინიჭების ან/და დელეგირების შესახებ; სააგენტოს სახელით დებს ხელშეკრულებებს, მათ შორის საიდუმლო ხელშეკრულებებს;

ე) საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსთან შეთანხმებით ამტკიცებს სააგენტოს ბიუჯეტს, საშტატო ნუსხასა და მოსამსახურეთა თანამდებობრივ სარგოებს;

ვ) საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსთან შეთანხმებით განსაზღვრავს მოსამსახურეთა მატერიალური წახალისებისათვის გამოსაყოფ სახსრებს, აგრეთვე სააგენტოს მიერ შესაძენი საწვავისა და გასაწევი საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტებს;

ზ) საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსს წარუდგენს წინადადებებს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების მართვისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში გასაწევი მომსახურების თაობაზე;

თ) ამტკიცებს შინაგანაწესს;

ი) კომპეტენციის ფარგლებში, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – ბრძანებას;

$ი^{1}$) საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსთან შეთანხმებით ამტკიცებს მეხანძრე-მაშველთა სპეციალური პროფესიული, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სისტემის სხვა მოსამსახურეთა მომზადების, გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით შემუშავებულ პროგრამებს, სწავლებისა და შეფასების სისტემის წესს, პირობებს, სასწავლო ცენტრის მსმენელის ქცევის წესს, ასევე სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო მომსახურების გაწევის მიზნით – სააგენტოს მიერ ჩასატარებელი სწავლებისა და შეფასების სისტემის წესს, პირობებს, სასწავლო ცენტრის მსმენელის ქცევის წესსა და სასწავლო პროგრამას, ასევე, სერტიფიკატის/მოწმობის ფორმას;

$ი^{2}$) გასცემს სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გავლის, ასევე, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო მომსახურების გაწევის მიზნით ჩატარებულ სწავლებაში მონაწილეობის დამადასტურებელ სერტიფიკატს, ხოლო საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში – შესაბამის მოწმობას;

$ი^{3}$) კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით;

კ) ხელს აწერს სააგენტოში მომზადებულ დოკუმენტაციას;

ლ) კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებას მოსამსახურეთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

მ) აანალიზებს სააგენტოს საქმიანობას და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსსა და კურატორ სამსახურის უფროსის მოადგილეს (არსებობის შემთხვევაში) წარუდგენს წინადადებებს სააგენტოს მუშაობის გაუმჯობესების შესახებ;

ნ) ყოველწლიურად, ასევე მოთხოვნისამებრ, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსსა და კურატორ სამსახურის უფროსის მოადგილეს (არსებობის შემთხვევაში) წარუდგენს ანგარიშს

სააგენტოს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;

ო) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. სააგენტოს უფროსის არყოფნისას მის მოვალეობას ასრულებს სააგენტოს უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სამმართველოს/განყოფილების უფროსი.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 16 აპრილის ბრძანება №40 - ვებგვერდი, 16.04.2020წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №143 - ვებგვერდი, 30.12.2022წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2025 წლის 1 აპრილის ბრძანება №27 - ვებგვერდი, 02.04.2025წ.

მუხლი 8. სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელობა

1. სააგენტოს სამმართველოს/განყოფილებას ხელმძღვანელობს სამმართველოს/განყოფილების უფროსი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს უფროსი.

2. სამმართველოს/განყოფილების უფროსი:

ა) წარმართავს სამმართველოს/განყოფილების საქმიანობას და წყვეტს სამმართველოს/განყოფილების გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებს;

ბ) უზრუნველყოფს სამმართველოს/განყოფილების მუშაობის ორგანიზებას და ანაწილებს საქმეებს სამმართველოს/განყოფილების მოსამსახურეებს შორის;

გ) ზედამხედველობს სამმართველოს/განყოფილების მოსამსახურეთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასა და შრომის დისციპლინის დაცვას;

დ) ახორციელებს სამმართველოში/განყოფილებაში მომზადებული დოკუმენტაციის ვიზირებას ან ხელმოწერას;

ე) კომპეტენციის ფარგლებში, კონტროლს უწევს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის ბრძანებების, მითითებების, დავალებების, ასევე სააგენტოს უფროსის ცალკეული დავალებების შესრულებას;

ვ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. სამმართველოს/განყოფილების უფროსი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამმართველოზე /განყოფილებაზე დაკისრებული სამსახურებრივი ამოცანების შესრულებისათვის ანგარიშვალდებულია სააგენტოს უფროსის წინაშე.

4. სამმართველოს უფროსს ჰყავს მოადგილე, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს უფროსი. სამმართველოს უფროსის არყოფნისას მის მოვალეობას ასრულებს სამმართველოს უფროსის მოადგილე.

5. სამმართველოს უფროსის მოადგილე:

ა) ხელს უწყობს სამმართველოს უფროსს მასზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელებაში;

ბ) ზედამხედველობას უწევს სამმართველოს მოსამსახურეების მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას, აძლევს მათ შესაბამის მითითებებსა და დავალებებს;

გ) ახორციელებს სამმართველოში მომზადებული დოკუმენტაციის ვიზირებას;

დ) ასრულებს სააგენტოს უფროსისა და სამმართველოს უფროსის ცალკეულ დავალებებსა და მითითებებს;

ე) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

6. სამმართველოს უფროსის მოადგილე სამმართველოზე დაკისრებული სამსახურებრივი ამოცანების შესრულებისათვის ანგარიშვალდებულია სააგენტოს უფროსისა და სამმართველოს უფროსის წინაშე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №143 - ვებგვერდი, 30.12.2022წ.

მუხლი 9. სახელმწიფო კონტროლი

1. სააგენტოს სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, რაც გულისხმობს მისი საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

2. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს სააგენტოს არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

3. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის თანხმობით, სააგენტომ შეიძლება განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;

ბ) სესხის აღება;

გ) თავდებობა;

დ) ბიუჯეტის, საშტატო ნუსხის და ხელფასის ფონდის განსაზღვრა;

ე) მოსამსახურეთა მატერიალური წახალისებისათვის გამოსაყოფი სახსრების, აგრეთვე სააგენტოს მიერ შესაძენი საწვავისა და გასაწევი საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტების განსაზღვრა;

ვ) სხვა გადაწყვეტილებები ქონებასთან დაკავშირებით, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

მუხლი 10. სააგენტოს დაფინანსება

1. სააგენტოს დაფინანსების წყაროებია:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) სახელმწიფო შეკვეთების შესრულებიდან მიღებული შემოსავალი;

გ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოებიდან და გაწეული მომსახურებებიდან მიღებული შემოსავალი;

დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავალი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სახსრები და შემოსავლები სრულად ხმარდება როგორც სააგენტოს კანონმდებლობით განსაზღვრული ამოცანებისა და ფუნქციების (საქმიანობის) განხორციელებას, აგრეთვე საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისა და სამინისტროს სისტემის განვითარებას. სააგენტოს სახსრების სხვა მიზნით გამოყენება აკრძალულია.

მუხლი 11. სააგენტოს ქონება

1. სააგენტოს, დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად, სახელმწიფო ქონება გადაეცემა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

2. ქონების გასხვისება და შეძენა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 12. სააგენტოს რეორგანიზაცია/ლიკვიდაცია

1. სააგენტოს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სააგენტოს დებულებაში ცვლილების შეტანა ხორციელდება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ნორმატიული აქტით.